

შპს "სალი ელექტრონი"

ს/კ 202462744

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება	5
1. ინფორმაცია ანგარიშგების წარმდგენი საწარმოს შესახებ	6
2. მომზადების საფუძველი	6
3. სამუშაო და წარსადგენი ვალუტა	6
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა და შეფასებები	
(ა) შემოსავალი	7
(ბ) ხარჯები	7
(გ) ძირითადი საშუალებები	8
(დ) სასაქონლო-მატერიალური მარაგები	8
(ე) სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8
(ვ) სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8
(ზ) რისკების მართვა	9
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	
5. შემოსავალი	10
6. სხვა ხარჯები	10
7. ძირითადი საშუალებები	11
8. სხვა მიმდინარე აქტივები	11
9. სხვა ვალდებულებები	12
10. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	12
11. გადასახადები	12
12. კაპიტალი	12
13. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	13
14. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	13

შპს „სალი ელექტრონი“

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ლარი	შენიშვნა	31/12/2020	31/12/2019
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	(10)	926,993	535,622
სავაჭრო მოთხოვნები		181,185	216,233
გადახდილი ავანსები		73,389	208,600
მარაგები		1,428,516	1,068,856
სხვა მიმდინარე აქტივები	(8)	52,224	21,876
სულ მიმდინარე აქტივები		<u>2,662,307</u>	<u>2,051,187</u>
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	(7)	791,110	691,034
სულ აქტივები		<u>3,453,417</u>	<u>2,742,221</u>
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები		96,555	66,636
საგადასახადო ვალდებულებები			32,375
სულ ვალდებულებები		<u>96,555</u>	<u>99,011</u>
კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		3,356,862	2,643,210
სულ საკუთარი კაპიტალი		<u>3,356,862</u>	<u>2,643,210</u>
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		<u>3,453,417</u>	<u>2,742,221</u>

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2021 წლის 28 სექტემბერს და მისი სახელით ხელი მოაწერეს:

დირექტორი

ბექან აბდუშელიშვილი

2020 წლის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას მასზე დართულ განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ.

მთავარი ბუღალტერი

ელენე ნიკოლეიშვილი

შპს „სალი ელექტრონი“

2020 წლის სრული შემოსავლის ანგარიშგება

ლარი	შენიშვნა	2020	2019
შემოსავალი	(5)	2,175,344	2,307,595
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება		(1,330,117)	(1,460,108)
საერთო მოგება		<u>845,227</u>	<u>847,487</u>
სხვა შემოსავალი			4
დასაქმებულთა ანაზღაურება		(108,084)	(93,900)
ცვთა და ამორტიზაცია		(13,120)	(4,169)
იჯარის ხარჯი		(6,750)	(10,500)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(6)	(29,793)	(17,764)
საოპერაციო მოგება		<u>687,480</u>	<u>721,158</u>
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)			
კურსთა შორის სხვაობით მიღებული შემოსავალი		28,026	(5,770)
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(1,854)	
მოგება დაბეგვრამდე		<u>713,652</u>	<u>715,388</u>
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		<u>713,652</u>	<u>715,388</u>

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2021 წლის 28 სექტემბერს და მისი სახელით ხელი მოაწერეს:

დირექტორი

ბექან აბდუშელიშვილი

2020 წლის სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას მასზე დართულ განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ.

მთავარი ბუღალტერი

ელენე ნიკოლეიშვილი

შპს „სალო ელექტრონი“

2020 წლის კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

	შენიშვნა	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2020 წლის 1 იანვარი		2,643,210	2,643,210
წმინდა მოგება		713652	713652
სხვა სრული შემოსავალი		-	-
პერიოდის სრული შემოსავალი		713652	713652
გაცემული დივიდენდები	(12)		
2020 წლის 31 დეკემბერი		3,356,862	3,356,862

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2021 წლის 28 სექტემბერს და მისი სახელით ხელი მოაწერეს:

დირექტორი

ბეჟან აბდუშელიშვილი

მთავარი ბუღალტერი

ელენე ნიკოლეიშვილი

2020 წლის კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას მასზე დართულ განმარტებით
შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ.

შპს „სალი ელექტრონი“

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ლარი	შენიშვნა	31/12/2020	31/12/2019
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები (10)		926,993	535,622
სავაჭრო მოთხოვნები		181,185	216,233
გადახდილი ავანსები		73,389	208,600
მარაგები		1,428,516	1,068,856
სხვა მიმდინარე აქტივები (8)		52,224	21,876
სულ მიმდინარე აქტივები		<u>2,662,307</u>	<u>2,051,187</u>
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები (7)		791,110	691,034
სულ აქტივები		<u>3,453,417</u>	<u>2,742,221</u>
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები		96,555	66,636
საგადასახადო ვალდებულებები			32,375
სულ ვალდებულებები		<u>96,555</u>	<u>99,011</u>
კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		3,356,862	2,643,210
სულ საკუთარი კაპიტალი		<u>3,356,862</u>	<u>2,643,210</u>
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		<u>3,453,417</u>	<u>2,742,221</u>

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2021 წლის 28 სექტემბერს დადისი სახელით ხელი მოაწერეს:

დირექტორი
ბეჟან აბდუშელიშვილი

2020 წლის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
ეროვნული ანგარიშგება



მთავარი ბუღალტერი
ელენე ნიკოლეიშვილი

ერა იქნას მასზე დართულ განმარტებით შენიშვნებთან

შპს „სალი ელექტრონი“

2020 წლის სრული შემოსავლის ანგარიშგება

ლარი შემოსავალი	შენიშვნა (5)	2020 2,175,344	2019 2,307,595
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება		(1,330,117)	(1,460,108)
საერთო მოგება სხვა შემოსავალი		<u>845,227</u>	<u>847,487</u>
დასაქმებულთა ანაზღაურება		(108,084)	(93,900)
ცვეთა და ამორტიზაცია		(13,120)	(4,169)
იჯარის ხარჯი		(6,750)	(10,500)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(7)	(29,793)	(17,764)
საოპერაციო მოგება სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)		<u>687,480</u>	<u>721,158</u>
კურსთა შორის სხვაობით მიღებული შემოსავალი სხვა არასაოპერაციო ხარჯი		28,026	(5,770)
მოგება დაბეგვრამდე		<u>713,652</u>	<u>715,388</u>
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		<u>713,652</u>	<u>715,388</u>

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2021 წლის 28 სექტემბერს და
მისი სახელით ხელი მოაწერეს:

დირექტორი

ბეჟან აბდუშელიშვილი

2020 წლის სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხული იქნას მასზე დართულ განმარტებითა და შენიშვნებით ერთად, რომლებიც
ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.



მთავარი ბუღალტერი


ელენე ნიკოლეიშვილი


შპს „სალი ელექტრონი“

2020 წლის კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

	შენიშვნა	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2020 წლის 1 იანვარი		2,643,210	2,643,210
წმინდა მოგება		713652	713652
სხვა სრული		-	-
შემოსავალი			
პერიოდის სრული		713652	713652
შემოსავალი			
გაცემული			
დივიდენდები	(12)		
2020 წლის 31 დეკემბერი		3,356,862	3,356,862

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2021 წლის 28
სექტემბერს და მისი ხელწერით ხელი მოაწერეს:


დირექტორი
მეფან აბდუშელიშვილი



მთავარი ზუღალტერი
ელენე ნიკოლეიშვილი

2020 წლის კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას მასზე დართულ განმარტებით
შეზღუდვების გარეშე ნაწილს წარმოადგენს.



ინფორმაცია ანგარიშგების წარმდგენი საწარმოს შესახებ

შპს „სალი ელექტრონი“ (შემდგომში „კომპანია“), საიდენტიფიკაციო ნომრით 202462744, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეიქმნა 2009 წლის 21 ოქტომბერს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. „კომპანიის“ იურიდიული მისამართია: ქ.თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, გოთუას ქ. #10-12, საგაჭრო ფართი #2. ფაქტიური მისამართი: ქ. თბილისი, ლ.ანდრონიკაშვილის ქ.18

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საცალო ვაჭრობა ელექტრული საყოფაცხოვრებო ხელსაწყოებით სპეციალიზებულ მაღაზიებში, საბითუმო ვაჭრობა ელექტრონული ნაწილებით. „კომპანიის“ საოპერაციო შედეგების ანალიზის ხელმძღვანელობა ახორციელებს მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (შემდგომში „მსს ფასს“) მიხედვით მომზადებული ფინანსური ინფორმაციის საფუძველზე.

„კომპანიის“ დირექტორი და 100% წილის მფლობელი არის ბეჟან აბდუშელიშვილი (პ/ნ54001012271). ფინანსური ანგარიშგება შედგენილია კომპანიის ხელმძღვანელობის მოთხოვნით.

მომზადების საფუძველი

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ მისი საქმიანობა. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია კომპანიისთვის.

სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

კომპანიის სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი, რადგან, როგორც საქართველოს ეროვნული ვალუტა, ის მეტწილად ასახავს შესაბამისი მოვლენებისა და ვითარებების ეკონომიკურ არსს. ლარი ასევე წარმოადგენს წარსადგენ ვალუტას, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის.

ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ლარამდე.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა და შეფასებები

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ:

(ა) შემოსავალი

კომპანიის საქმიანობის სახე: **საცალო ვაჭრობა ელექტრონული საყოფაცხოვრებო ხელსაწყოებით სპეციალიზებულ მაღაზიებში, საბითუმო ვაჭრობა ელექტრონული ნაწილებით.** ამონაგების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდის მიხედვით, კერძოდ ელექტრონული საქონლის რეალიზაციის საფუძველზე, ამონაგების ფორმირება ხდება გაყიდული/უკან დაბრუნებული პროდუქციის მიხედვით ყოველი დასრულებული თვის მონაცემებზე დაყრდნობით.

(ბ) ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

(გ) ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით, თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ შეფასება. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სხვა სახის დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებასა, დაგროვილ ცვთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

(დ) სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგის ღირებულება ეყრდნობა საშუალო შეწონილი ღირებულების პრინციპს და მოიცავს მარაგების შეძენის ხარჯებს, ასევე წარმოების და დამუშავების ხარჯს. წარმოების თვითღირებულებასა და სხვა ხარჯებს, რომელთა გაწევაც გახდა საჭირო მარაგების არსებულ მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მისაყვანად. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესში სავარაუდო გასაყიდი ფასი პროდუქციის დასრულების მიახლოებითი ხარჯებისა და გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯების გამოკლებით.

(ე) სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი.

(ვ) სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ზ) რისკების მართვა

(ა) ფინანსური რისკის მართვა

ფინანსური ინსტრუმენტებით გამოყენების მიზნით, კომპანია დგას შემდეგი რისკების წინაშე:

– საკრედიტო რისკი (იხილეთ შენიშვნა 4(ზ) (i);

– საბაზრო რისკი (იხილეთ შენიშვნა 4(ზ)(ii)

–სავალუტო რისკი (იხილეთ შენიშვნა 4(ზ) (iii))

(i)საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის კომპანიის ფინანსური დანაკარგის რისკი, როდესაც მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის მფლობელი მეორე მხარე ვერ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.

კომპანიას არ აქვს არსებითი მგრძნობელობა საკრედიტო რისკის მიმართ აღნიშნულ მოთხოვნებთან დაკავშირებით. კომპანიის პოლიტიკის თანახმად, კომპანია არ ითხოვს უზრუნველყოფას სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან მიმართებაში

(ii)საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს სავალუტო გაცვლით კურსების, საპროცენტო განაკვეთებისა და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის შემოსავლებზე ან მის ხელთ არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების საფუძველზე შემოსავლების ოპტიმიზაციის ფონზე.

(iii) სავალუტო რისკი

კომპანიას სასაქონლო მარაგები შემოაქვს იმპორტით, შესაბამისად ანაზღაურება მომწოდებელთან ხდება უცხოურ ვალუტაში, აქედან გამომდინარე სავალუტო რისკი არსებითია კომპანიისთვის. სავალუტო კურსის მნიშვნელოვანი ცვლილებები უარყოფითად აისახება კომპანიის გადასახდელ ვალდებულებებზე.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

5. შემოსავალი

ლარი	2020 წ.
შემოსავალი საქონლის (ელექტრონული ნაწილები) საბითუმო რეალიზაციიდან	1,305,206
შემოსავალი საქონლის (ელექტრონული ნაწილები) საცალო რეალიზაციიდან	870,138
სულ შემოსავალი	2,175,344

6. სხვა ხარჯები

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

ლარი

რემონტის ხარჯები	12,938
საქონლის ლაბორატორიული დამოწმების ხარჯი	936
საბანკო მომსახურების ხარჯი	6,067
ბარათით გადახდაზე ჩამოჭრილი ხარჯები	1,503
საპენსიო შენატანი 2 %	459
სხვადასხვა ერთჯერადი ხარჯები	7,890

სულ

29,793

7. ძირითადი საშუალებები

დასახელება	წმინდა საბალანსო ღირებულება 2020 წლის 1 იანვარს	შემოსვლა	გასვლა	ცვეთის ხარჯი	წმინდა საბალანსო ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბერს
მიწის ნაკვეთები	408,513	0	0		408,513
დაუმთავრებელი მშენებლობა	243,773	96,664	340,438		0
შენობები	34,096	340,437		11,163	363,369
ოფისის აღჭურვილობა	639	5,456	230	1,003	4,864
ავეჯი და სხვა ინვენტარი	0	11,943		216	11,727
სატრანსპორტო საშუალებები	3,117	0		658	2,458
არამატერიალური აქტივები	260	0		80	180

8. სხვა მიმდინარე აქტივები

ლარი	2020წ.
საგადასახადო ვალდებულების ზედმეტობა	52,224
სულ სხვა მიმდინარე აქტივები	52,224

9. სხვა ვალდებულებები

ფინანსურ მდგომარეობაში ასახული მუხლების გარდა კომპანიას სხვა ვალდებულებები არ აქვს.

10. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის:

389,951,
სალაროში;

537,042 ლარი საბანკო ანგარიშებზე.

11. გადასახადები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის 1 იანვრიდან

გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო ვალდებულება წარმოდგენილი აქვს ზედმეტობით, რომელიც მოცემულია სხვა მიმდინარე აქტივებში (იხ. შენიშვნა 8)

12. კაპიტალი

(ა) დივიდენდები

კაპიტალის მფლობელს (დამფუძნებელს) უფლება აქვს მიიღოს პერიოდულად გამოცხადებული დივიდენდები.

2020 წლის განმავლობაში, კომპანიის მიერ დივიდენდების გამოცხადება და გადახდა არ მომხდარა.

(ბ) კაპიტალის მართვა

კომპანიას არ აქვს კაპიტალის მართვის ფორმალური პოლიტიკა, თუმცა ხელმძღვანელობა ცდილობს კომპანიის სტრატეგიული საჭიროებებიდან გამომდინარე კაპიტალის შესაბამისი ბაზის უზრუნველყოფას, რაც მიიღწევა ფულის ეფექტური მართვის და კომპანიის შემოსავლის და მოგების მუდმივი მონიტორინგის საშუალებით.

კომპანიაზე არ ვრცელდება კომპანიის გარეთ დაწესებული კაპიტალის რაიმე მოთხოვნები.

13. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და მისი გამოცემის ნებართვა გაცემულია ხელმძღვანელობის მიერ 2021 წლის 28 სექტემბერს.

14. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია მნიშვნელოვან მოვლენებს.